ცერთთან არაფერი, მიუხედავად იმისა, რომ სამივე მამაკაცთან — მსახიობთან, დრამატურგთან და რეჟისორთან — დეა სხვადასხვანაირად, მაგრამ მაინც ცდილობს ცხოვრების აწყობას? ისიც მუდმივად რაღაცის ძიებაშია, რაღაცის ან ვიღაცის. სულ ეშინია, რომ გაგიჟების პირასაა და თვითმევლელობის მცდელობაც კი აქვს, რადგან სურს, ამ აბსურდს და უიმედობას თავი დააღწიოს. ისევ სცენაზე აღასრულებს ამ ჩანაფიქრს, რომელიც უფრო პერფორმანსს გაას. დეა ხომ საბოლოოდ მაინც მსახიობია, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვობაში თამაშობდა ვილაცის შვილის როლს. მუდამ მსახიობია, კლინიკაში მნილიარეც კი, როცა ფიქრობს, რომ უსუოდ უნდა მოკლას თავი, მაგრამ სხვანაირად — იქნებ, ქოთნით ხელში სჯობდეს, რათა დასამახასოვრებელი იყოს? ეს აზრი მხოლოდ მაშინ ქრება, როცა იგებს, რომ ფეხმიმედაა.

საინტერესოა, რომ ავტორი სხვადასხვა სახეს გვაჩვენებს. მამაკაცები თუ ქალები, ისინი განსხვავდებიან, მაგრამ, იმავდროულად, ძალიან გვანან ერთმანეთს. დუასა და ლამარიეს შორის უფრო მეტი საერთოა, ვიდრე თავიდან გვგონია. ლამარიესაც სურდა თეატრით ცხოვრება, მაგრამ მსახიობი ვერ გახდა, როცა დაუამ ეს მოახერხა. ლამარიესაც სურდა შვილი და ვერ გააჩინა, დეა კი ნანარმოების ბოლოს ფეხბიძიდება. მამაკაცებიც იგივე ფარსის მოყვარულნი არიან — უყვართ ან არ უყვართ, მასზე დამოკიდებულნი არიან და ვატატოს — თეატრმცოდნე და „პედერასტი“ მეგობრის პერფორმანსაც არაჩვეულებრივად ერგებიან. სინტერესოა, რომ კულმინაცია აქ სწორედ ვატატოს სახით გვხვდება. წინა ნოველაში ლამარიეს მონოლოგი უხელს თვალს ყველას. აქ კი ამას არატრადიციული ორიენტაციის მქონე ვატატო აკეთებს, რომელიც ყველა ამ მამაკაცისგან განსხვავებით, მზადაა, დეასთან ბოლომდე იყოს, ცოლად მოიყვანოს და მასთან ერთად აღზარდოს მისი შვილი. სწორედ მას ეს მისი დეასი, როდესაც დამსწრე საზოგადოებას ეუბნება: „ყოველდღიურად კვდებოდა დეა, რადგან ქალის განცდა არ გაგაჩნიათ, არც თეატრის“. თეატრი და ქალი ხომ თითქმის ერთი და იგივეა, რადგან ქალი (ამ შემთხვევაში დეა) მუდმივი თამაშის მდგომარეობაშია, როცა ერთ მამაკაცს დედას უნაცვლებს, მეორეს — მუზას და ასე შემდეგ ვატატო ლამარიეს გაგრძელებებაა, უფრო თავდაჯერებული, შეიძლება ცოტათი სასტიკიც კი, რადგან ისიც ამ ფარსის მსხვერპლია. წლების განმავლობაში დამცირებული თავისი ორიენტაციის გამო, რომელმაც ბევრს მიაღწია, მაგრამ სრულფასონათ აორარაბული მარტივ გარებობა

ოვად ალიანებული იაიც ვერ გაძარდა.
წიგნი ტრულაილას აღსრულებით მთ-
ავრდება, რაც ერთგვარად ავტორის ჩან-
აფიქრია რტაგიკომედიის შესახებ, ამბავი
მძიმედ უნდა დაიწყოს, ბოლოსკენ კი აუცი-
ლებლად კომედიით დასრულდეს. საბ-
ოლოო ჯამში, ირაკლი სამსონაძე მაინც
გვიტოვებს იმედს, რადგან იმედის გარეშე
მაინც როულია, რეალობას დიდხანს გაუს-
წორო თვალი.

17 ცლის ილია ჭავჭავაძეს სოფელ კა-
რდენაბში, დის ოჯახში მიმავალს გზაზე
ყაჩაბლი გადაეყარა. შეხვედრამ დაბადა
პოემა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი
ყაჩაბლის ცხოვრებიდამ“. ამ ესეში თავი
მოყუყარე სხვადასხვა ლიტერატურასა თუ
პრესის ფურცლებზე განხეულ ცნობებს
ილიასა და კაკო ყაჩაბლის პროტოტიპის შე-
ხვედრის შესახებ.

კარდენახი (გურჯაანის მუნიციპალიტეტი) აფხაზთა საგვარეულო მამული იყო. აფხაზთა საგვარეულო ანჩხაბაძეთა კახეთში დამკვიდრებულ შტოს წარმოადგენდა. აფხაზები განსაკუთრებით XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწინაურდნენ ქართლ-კახეთის სამეფო კარზე და დაწინაურებული მდგომარეობა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგაც შეინარჩუნეს.

ნიკოლოზ აფხაზს ცოლად ჰყავდა ნინო
გრიგოლის ასული ჭავჭავაძე, ილია ჭავჭავაძის და. დის ოჯახს ხშირად სტუმრობდა ილია. მისი წერილებიდან დისადმი ჩანს,

კაკო ყაჩალის პროტოტიპი კარდენახელი გლეხი, ყაჩალად გავარდნილი ივანე ჩალათაშვილი ყოფილა, რომელსაც იღია პირადად შეხვედრია კარდენახში, „ახოებად“ წილებულ ადგილებში. 1962 წელს გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ 12 სექტემბრის ნომერში იღია ჭავჭავაძის დაბადების 125 წლისთავთან დაკავშირებით დაიბეჭდა ალექსანდრე მლევდლიაშვილის წერილი „იღია კარდანახში“. ამ წერილში ვკითხულობთ: „1938 წლის ზაფხულის ერთ დღეს მე და ჩემი ძმა ვეოთხულობდით ახალგამოცემულ წიგნს „იღია ჭავჭავაძის მოწაფეობა და სტუდენტობა“, როცა იმ ადგილამდე მივეღით, რომელიც კარდანახის გზაზე იღიასა და გაუხარას შეკილის შეხვედრას ეხება, მამამ შეგვაჩერა და ხელმეორედ წაგვაკითხა ის ადგილი.

ამირან ბასილაშვილი

პაპო ყაჩაღის კვალდაკვალ

— ჩემს ყმაწვილობაში, — გვითხრა
მამამ, — ლაპარაკუბდნენ იმ გლეხზე, რო-
მელმაც შური იძია რომელიღაც თავად ვა-
ჩინაძის ოჯახზე და ტყეში გაიჭრა, მე კარ-
გად მახსოვს, ამ გლეხს სახელად გაუხა-
რო ერქვა, ხოლო გვარად ჩალათაშვილი
იყო".

ჩევენამდე მოაღწია ივანე ჩალათაშვილის შვილიშვილის ქუთევან მჭედლიშვილისა და შვილთაშვილის იოსებ ჩალათაშვილის მოგონებებმა. იოსებ ჩალათაშვილი იგონებს: „მახსოვეს, ჩემს პატარაობაში, მე და ჩემი უყვცროსი ძმა ალექსი (სამამულო ომის დროს ფრონტზე დაიღუპა) მამას ვებ-მარკებოდით ვენახის დამუშავებაში; ვწინახის ბოლოს დიდი კაცლის ხე გვედგა. აი, იმ კაცლის ხის ჩრდილში, სადილობისას მამამ დალია ნინაპრების საცდეგრძელო და გვითხრა: მამაჩემი იოსები ცნობილი კაცი იყო, განთქმული მოჭიდავე, მაგრამ პაპაჩემი ივანე უფრო სახელოვანი ყოფილა. ჭაბუკობისას მას თავის მეზობლის გოგებაშვილის ლამაზი ქალიშვილი შეჰყვარებია და ცილად შეურთავს. მებატონე ვაჩინაძეს ცირკალი თამას ათლობა მოოთხი-

კი ამ უკლეს თეორიას დაუკავშიროს გერმანიას ბიოგრაფიას დაუკავშიროს და ახლა, როცა მებატონებ ასეთი უტიფარი წინადადება მისცა, ჭაბუკის გული მრისხანებით აივასო. მებატონეს მან, ცხადია, სასატიკი წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ

როცა ეს პოროტი კაცი არ გაჩერდა და ყმას საცოლის ნართმევა მოუნდომა, ივ-ანებ თოვს დასტაცა ხელი. ამ შეტაკების დროს მას მებატონებ შემოაკვდა. ამის შემდეგ იძულებული იყო, ტყეში ყაჩალად გაჭრილიყო. მალე იგი არსენასავით პოპულარული გახდა. ამასობაში ივანეს ბიჭი შეეძინა... ტყეში გაჭრილ ივანეს ვაჟიშვალის შეძენის ამბავი რომ შეატყობინეს, იგი ფარულად მივიდა სახლში შვილის სანახავად. ეს ამბავი მებატონის ახლობლებმა შეიტყვეს, პოლიციას შეატყობინეს და შეერთებული ძალით ივანეს სახლს ალყა შემოარტყეს. ივანე ამოძრა სახლის სახურავიდან და გაიქცა, სირბილის დროს მას ჯირებისათვის ნამოუკრაგს ფეხი და ნაქაცეულა, სწორედ ამ დროს ნაადგნენ მასა პოლიციელები და მებატონის ნათესავები;



ივანე იქვე მოჰკულეს, ხოლო მისი სახლ-კარი გადაბუგეს.“ ამ არეულობაში ივანეს ცოლი, მართაც, დაღუპულა.

ივანე ჩალათაშვილს ერთადერთი შვილი, იოსები, დარჩენა, რომელიც სახლ-კარის გადაწვის შემდეგ ნათასავებს წაუყვანიათ და გაუზრდიათ. შემდგომში ის ცნობილი მოჭიდავე გამხდარა. ასპარეზობდა გაოთხ კახელის ფსევდონიმით. მას კულა გლდანელთანც უშიდავია და დიდი ფალავანი დაუმარცხებია კიდეც. ხალხში ეს ამბავი ლექსად დარჩენილა:

„გამოვიდა კულა,
ჯერ არ გალახულა,
გამოვიდა კახელი,
გლდანელს გაუტეხა სახელი”

იოსებ ჩალათაშვილი იბრძოდა უსამართლოს, მეფის ხელისუფლებისა და მისი მოხელეების წინააღმდეგ, რომლებიც ხალხს ანთოკებდნენ. 1914 წელს იოსები დაუპატიმრებიათ. ბრალდება 8-10 წლით კატორლას და ქონების ჩამორთმევას ითვალისწინებდა. ამ მუხლით ასამართლებდნენ პოლიტიკურად არასაიმედო პირებს, რომლებიც არალეგალურ ლიტერატურას ავრცელებდნენ და ხალხს აჯანყებისეკნ მოუწოდებდნენ. ალექსანდრე სიგუას ვარაუდით, რადგან იოსები თბილისში ხშირად ჩამოდიოდა, როგორც ცნობილი ფალავანი, შესაძლოა, მეფის რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებს თბილისში შეუერთდა და კახეთში პროკლამაციები აქედან მიჰქონდა. გაიოზი, ერთი ვერსიით, სილნალის სამაზრო ციხეში გარდაცვლილა, მეორე ვერსიით კი, თელავის ციხეში პატიმრებს მძინარე თავში ქვის ჩარტყმით მოუკლავთ. ჭიდაობაში დამარცხებულებს შურისძიების ასეთი ფორმა აურჩევიათ.

ոռեցին առու մշտական դարհիա — գոօրշցի
(ցարքածություն 1938 ներկա է) և յետեւազն։
ցոօրշցին մշտական դարհիա — ոռեցին և ալյուստու-
մանաճնշում մշտական դարհիա — մշտական դարհիա։
ոռեցին գոօրշցին մշտական դարհիա պահանջական է ու ալյուստու-
ման առաջական դարհիա է ալյուստում մշտական դարհիա։

„კავკ ყაჩალის“ გარდა კარდენახი ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ ცხოვრებას სხვა მხრივაც უკავშირდება. პეტერბურგში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე იმის კარდენახში დაუწერია ლექსი „ყვარლის მთებს“. კოხტა აფხაზის მოგონებით, ერთხელ ალაზნის ჭალებში წასულან სან-ადიროდ. გამოჩენილა ირემი. ილია მეტად მარჯვე ადგილას მდგარა, მაგრამ მაინც არ უსრია — „უხ, ისეთი ლამაზი, ისეთი

მოხდენილი რამ იყო, რომ მაგას როგორ ვესროდი, როგორ გავიმტებდილი!!!“. როგორც ჩანს, ამ ნადირობის დროს მიღებული შთაბეჭდილებები შემდეგ იღიამ „გლახის ნაამბობში“ აღნერა. „გლახის ნაამბობში“ ბატონსა და ყმას შორის ნარმოქმნილი კონფლიქტის საბაბი — ეგრეთ წოდებული პირველი ღამის უფლებაც, ალბათ, ივანე ჩალათაშვილის ცხოვრებიდან არის აღებული. იღია ჭავჭავაძეს კარდენაბში გაუგონია ხალცური ლექსი, რომელიც უურნალ „ერებულში“ (N7, 1872 წელი) გამოაქვეყნა:

„ქალმა თქვა: სიზმარი ენახე
დამდეგ ენკენის თვისასა:
ცა ნითლად-ყეითლად ელავდა,
სეტყვას ისკრიდა ქვისასა,
თავზედ მაქცევდა ჩარდახსა,
დახურულ ყავარისასა;
ნინა სანთელსა მიქრობდა,
ჩამოსხმულ კელაპტრისასა,
ბალში ხეხილსა მიმტკრევდა,
დარგულსა ალვის ხისასა.
ნეტა ვიცოდე, რა არის?
სიკვდილს იტყვანი ქმრისასა. “

ალექსანდრე მდვიდლიაშვილის ცნობით,
ილია ჭავჭავაძეს შექსპირის „მეფე ლიორის“
პირველი თარგმანი კარდენახში წაუკითხ-
ავს. მისივე თქმით, მის დროს ჯერ კიდევ
ცხოვრობდნენ კარდენახში გლეხები, რო-
მელთაც ილიას სტუმრობა სიძისა და დის
ოჯახში ახსოვდათ. ვანო ჩაყალაშვილი
იხსენებდა: „ჩვენ ხმირად გმუშმაობდით
ქირით ნიკოლოზ აფხაზთან. ძალიან კარ-
გი ადამიანი იყო მისი მეუღლე ნინუცა. ერ-
თხელ სამარტინოდან დალლილები მოვედით,
აფხაზთან ჩამოსული იყო ნინუცას ძმა ილ-
ია. მან შეგვამჩნია, რომ დალლილები ვიყა-
ვით, მიუბრუნდა თავის დას და უთხრა: ნი-
ნუცი, ლვითი გულისათვის, დროზე მიხე-
დეთ ამ ხალხს, ეტყობათ, ძალიან დალლი-
ლები არიან.“

ილია ჭავჭავაძის შკვლელობას (1907 წელი) კარდენახელები სამგლოვიარო წერილით გამოხმაურებიან. იმავე წლის 27 ოქტომბერს (ძველი სტილით), ილიას დაბადების დღეს, კი მისი სხსოვნის პატივ-საცემად და მისივე ფონდის სასარგებლოდ ფორაქაშვილების სახლში საღამო გამართულა.

კარდენახის ისტორიის შექმნაში ილია ჭავჭავაძემ თავისი წელილი შეიტანა, ხო-

კუკურავის მეურნეობის შემოქმედებაში.

აფხაზთა საგარეულო სასახლე — ილიას მასპინძელთა სახლი — აღდგენის შემდევ ახალ სიცოცხლეს დაინტება. აქ აღბათ დაფუძნდება ილია ჭავჭავაძის დიშვილის, საქართველოს თავისიუფლებისთვის მებრძოლისა და მისთვის სიცოცხლე-შეწირულის, გენერალ კონსტანტინე აფხაზის სახელობის მუზეუმი. ილია ჭავჭავაძის განსაკუთრებული ადგილი სასახლისა და სოფლის ისტორიაში კი კიდევ ერთხელ წარმოჩინდება.

კავკ ყაჩაჩის პროტოიპის ისტორია
ბაგშვილიდან გამომყევა. ყაჩალად გავარდ-
ნილი ივანე ჩალათაშვილის ამბავს, რომე-
ლსაც ბატონი შემოაკვდა, თავი ტყეს შეა-
ფარა და განგებამ ყმაწვილ ილია ჭავჭა-
ვაძესთან შეხვედრა არგუნა, სკოლაში მას-
ნავლებლები გვიყვებოდნენ, მაგრამ ეს ის-
ტორია თურმე იქ არ მთავრდებოდა, სა-
დაც ჩვენი პედაგოგები ასრულებდნენ. ეს
მხოლოდ მაშინ გავიგე, როცა ჩემი სოფ-
ლის — კარდენახს — შესახებ ცნობების
შეგროვება დავიწყე. სურვილი კარდენახ-
ის წარსულით უფრო მეტად დაინტერესე-
ბისა, ჩვენი სოფლის მოძღვრის, მამა ამი-
რანის, მოწოდებამ აღმიძრა. თავად რაჭ-
ველი, აფხაზეთიდან ლტოლვილი და შუ-

აგულ კახეთში მოძღვრად მოსული ადამი-ანი ჩვენი სოფლის ისტორიით დაინტერესებისენ მოგვიწოდებდა ახალგაზრდებს. სკოლის დამთავრების შემდეგ სტუდენტი გაეხდი და კარდენასიდან თბილისში გადმოვცხოვრდი. აქედან მოყოლებული ვეძებდი ცნობებს, ვაგროვებდი მასალებს, ხშირად შემთხვევითაც წავწყდომივარ ჩემი სოფლის შესახებ სრულიად უნიკალურ ისტორიას. ერთ-ერთი ასეთი ისტორია სწორედ კაკო ყაჩაღის პროტოტიპს უკავშირდება. სხვა მასალებიც არსებობს, ზოგიერთი მათგანი გადამოწმების, დაზუსტების ან მოძიების პროცესშია. ვიმედოვნებ, დაინტერესებულ მკითხველს მოგვიანებით უვროცენი სრულსა და ფოტომასალით გამდი-დორებულ ისტორიასაც შეკვთავაზებ.

„დეიდა ხულია და ჯაღაპნია“ პერუვილი მწერლის, მარიო ვარგას ლიონსას ნახევრად ავტობიოგრაფიული წიგნია. რომანი, რომელსაც ავტორი ოთხი წელიწადი წერდა, პირველად 1977 წელს ლიმაში გამოქვეყნდა და მკითხველთა გულები მაშინვე დაიძყვა. რო. ესაა ისტორია სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ახალგაზრდა სტუდენტ ზე. რომელიც თავს უურნალისტი იწერს, მაგრამ ოცნებობს მწერლობაზე.

ავტორი, რომელიც საკუთარ თავს უწოდებს „სენტიმენტალურ ადამიანს, მიღ-
რეკილს ბოლეროს, ბობიქარი ვნებებისა და ბულვარული რომანების ინტრიგებისა-
დმი“, ახერხებს, საინტერესოდ გადახლართოს ერთმანეთში პირადი ცხოვრების ამს-
ახელი დეტალები იმსიუჟეტებთან, რომელსაც რადიოდადგმების ექსცენტრული შემო-
ქმედი, პედრო კამაჩი ქმნის. პერუელი მწერლისა და ხულია უკარდის სასიყვარულო
ისტორიას, რომელიც რეალურ ცხოვრებაში, ოჯახის წინააღმდეგობის მიუხედავად,
ჯერ ქორწინებით, ნლების შემდეგ კი განქორწინებით დასრულდა, ფონად გასდევს
ორმოცდაათიანი წლების პერუს ქრონიკა. მკითხველის წინაშე ფრაგმენტი წიგნის ახ-
ალი თარგმანიდან, რომელსაც უახლოეს ხანებში გამოსცემს „ინტელექტუალურ“.

მარიო ვარგას ლიონსა

დეილა ტურია და კლასიკა

ფრაგმენტი

ზაფხულის ერთ ბრძლვიალა დილას კოხტა და პუნქტუალურმა დოქტორმა დღონ პედრო ბარედა ი სალლივარმა, ჩვეულებისამებრ, ლიმას უზენაესი სასამართლოს (სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი) პირველი დარბაზის პირველი ინსტანციის მოსამართლის სამუშაო კაბინეტში შეაბიჯა. ეს იყო კაცი, რომელსაც გაფურჩქვნის ასაკისთვის მიეღლნა, ორმოცდაათი წლის გახლდათ და ფართო შუბლით, არწივისებრი ცხვირით, გამჭოლი მზერით, მართალი გულითა და კეთილშობილი სულით — ზნეობრივი სინმინდით, რომელსაც ასხივებდა — სხვათა პატივისცემას მაღლევე იმსახურებდა. ეცვა მოკრძალებულად — როგორც შეცვერის მწირი ხელფასის მქონე მოსამართლეს, რომელიც კონსტიტუციურად უუნაროა, აილოს ქრთამი — თუმცა, ისე დახვეწილად, რომ ელეგანტურობის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მართლმსაჯულების სასახლე დამტული მოსკვენებისგან იღვიობდა, მის უზარმაზარ დარბაზებს კი ადვოკატების, თანაშემწების, კონსილირების, მომზინების, ნოტარიუსების, მოწმეების, პრატიკიკანტებისა და ცნობისმოყვარების მომქანცველი ბრძო იპყრობდა. ამ სკის შუაგულში მოქცეულმა დოქტორმა პედრო ბარედა ი სალლივარმა პორტფელი გახსნა, ორ საქალალდე ამოიღო, საწერ მაგიდას მიუჯდა და სამუშაო დღლის დასაწყებად გაემზადა. რამდენიმე წამში, კოსმოსში მოწყვეტილი სწრაფი და უხმო მეტეორიტის მსგავსად, კაპინეტში მდივანი — დოქტორი სელაია გაჩნდა: ჩია ტანის, სათვალიანი კაცი ბუზის საცეცებიანი ულვაშებით, რომელსაც ლაპარაკისას რიტმულად ამოძრავებდა.

— დილა მშვიდობისა, ჩემო პატონო დოქტორო, — მიესალმა მოსამართლეს და რევერანსის ნიშნად ანჯამასავით მოიკეცა.

— თქვენც ასევე, სელაია, — მეგობრულად გაულიმა ღორქორმა დონ პედრო ბარედა ი სალდივარმა, — აბა, ამ დილას რას გვიბოძებთ?

გამოლეოდა: ყიდვა უკვე დაგვიანებული იყო და საჭმლის მოსამზადებლად ცოტა ნავთის სასესხებლად მოსულიყო (პირობას იძლეოდა, მეორე დილას დააბრუნებდა).

— არასრულნოვნის გაუპატიურება
ფსიქოლოგიური ზენოლით, როგორც და-
მამაძიმებელი გარემოება, — მდივანმა მაგ-
იდაზე სქელტანიანი საქალალდე დადო, —
ბრალდებული ლა ვიქტორიას მაცხოვრე-
ბელია, ლომბარზიული¹ იერისაა და მომს-
დარს უარყოფს. მთავარი მოწმეები დერე-
ფანში იკადიან.

— სანამ მათ მოვუსმერ, პოლიციის აქმი
და მომჩინანის განაცხადი უზღდა გადავი-
კითხო, — შეახსენა მოსამართლემ.
— მოკლიან, რამდენიმის საჭიროა, —

გაემჯელავნებინა უანგა სალავერიების ბუე-
ნოსინესული წეს-ჩევლება: სათლში მო-
საქმება იმავე ოთახში, სადაც ჭამენ და იძ-
ინებენ).

როგორც კი ბრალდებულმა ხსენებული მას შემდეგ მართვა და მომზადება „H“ ოთახში შეიღწია.

დოკუმენტი დრო აქტუალური გამოქვეყნდა ი სალ-
ოცვარს იურისტის მშპ. კიკე ჯავახის ქვეშ



ეწნას, ტანსაცმლიდან დანა გამოაძვრინა
და ბავშვეს დაემუქრა — ხმის ამოღებისთა-
ნავე დაგარტყამო. ფეხზე ნამოდგა და სა-
რიტასკენ შემდევი სიტყვებით გაემართა:
„მიდი, მიდი, უკვე უნდა იხდიდე, ჩემო სიყ-
ვარულო“ და, ვინაიდან ყველაფრის მიუხე-
დავად, გოგო არ ემორჩილებოდა, მუშტე-
ბითა და წილებით ასაჩუქრებდა, სანამ
იატაკზე არ დააგდო. მსხვერპლის თქმით,
სწორედ იქ, სანამ ის ნერვიულობისგან შე-
პყრობილი კბილს კბილზე აცემინებდა,
მოძალადემ ტანსაცმელი შემოაგლიჯა,
საკუთარი სამოსის ღილებიც შეიხსნა, გო-
გოს ზემოდან დაემხო და იქვე, იატაკზე,
დაამყარა სქესობრივი აქტი, რომელსაც
გოგონას წინააღმდეგობის გამო ისევ ახ-
ლდა ცემა, რამაც კვალი დალურჯებები-
სა და შემუპების სახით დატოვა. უინის და-
კმაყოფილების შემდეგ გუმერსინდო ტელ-
იო „H“ ოთახიდან გავიდა, თუმცა მხოლოდ
მას შემდეგ, რაც სარიტა უანკა სალავერ-
იას ურჩის მომხდარზე სიტყვა არ დაეძრა,
თუკი სიძერემდე მიღწევა სურდა (და იმის
საჩვენებლად, რომ ერთობ სეროოზულად
ლაპარაკობდა, დანა მოიქნია). „მეტროპო-
ლიტანიდან“ დაბრუნებული მშობლები ქა-
ლიშვილს ტირილისებან გულამომჯდარს
და ნაჯიჯენს გადააწყდნენ. იარების დამუ-
შავების შემდეგ შვილისებან ითხოვდნენ,
ეთქეა, რა მოხდა, თუმცა, სირცხვილის გა-
მო, გოგონა უარზე იდგა. ასე განვლო მთე-
ლმა დამეგმ. მეორე დილას, ეჭვგარეშეა, ქა-
ლწულობის დაკარგვით გამონვეული ემო-
ციური შოკისგან ოდნავ გამოფხილებუ-
ლმა ბავშვმა კველაფერი უამბო მშობლებს,
რომლებიც საჩივლელად დაუყოვნებლივ
ლა ვიქტორიას კომისარიატისკენ გაეშურ-
ნენ.

დღეტორმა დონ ბარედა ი სალდივარ-
მა წამით თვალები დახუჭა. ბავშვი ეცოდე-
ბოდა იმის გამო, რაც თავს გადახდა (მიუხ-
ედავად იმისა, რომ დანაშაულთან შეხება
ყოველდღე ჰქონდა, კანი მაინც არ გასქე-
ლებოდა), თუმცა საკუთარ თავს ისიც უთ-
ხრა, რომ ერთი შეხედვითაც, ეს იყო დანა-
შაული იდუმალების გარეშე, ტიპური, სისხ-
ლის სამართლის კოდექსით მიღიმეტრებ-
ში განხერილი, როგორც გაუპატიურება და
არასრულწლოვნის შევინწოდება ისეთი და-
მამდიმებელი გარემონტებით, როგორიცაა
წინასწარგანზრახვა, სიტყვიერი და ფიზ-
იკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ზენო-
ლა.

შემდეგი დოკუმენტი, რომელიც გადა-
იკითხა, იყო ოქმი, რომელიც გუმერსინდო
ტელიოს დაკავების შემდეგ შეედგინათ
სამართალდამცავებს.

ზემდგომის, კაპიტან გ.კენრიკე სოტოს, მითითების თანახმად, პოლიციელებმა ალბერტო კუსიკანკი აპესტეგიმ და უასი ტიტო პარინაცორჩამ დაპატიმრების ორ-დერით ლუნა პისაროს გამზირის 12 ნო-მერში მდებარე სახლს მიაშურეს, თუმცა სუბიექტი ადგილზე არ იყო. მეზობლების მეშვეობით გამოირკვა, რომ იგი პროფესი-ით მექანიკოსი იყო და ძრავის შეკეთებისა და ავტოგენური შედუღების სახელოსნო „ინტიმი“ მუშაობდა, რომელიც უნის მე-ორე ბოლოში, თითქმის ელ პინოს მთის კალთებთან მდებარეობდა. პოლიციელე-ბი დაუყოვნებლივ იმ მიმართულებით გაე-მართნენ. სახელოსნოში დახვდათ სიურ-პრიზი, რადგან იქაურობის მფლობელმა

კარლოს პრინცისპერ მოახესენა, რომ ნათლობაზე დასწრების საბაბით გუმერსინდო ტელიოს ერთი დღე ეთხოვა. როდესაც პოლიციელები თანამშრომლების გამო კითხვას შეუდგნენ, თუ რომელ ეკლესიაში შეიძლებოდა ტელიოს პოვნა, მათ ერთმანეთს ავად გადახედეს და გაიღიმეს. ბატონმა პრინცისპერ განმარტა, რომ გუმერსინდო ტელიო კათოლიკე კი არა, იეჰოვას მოწმე იყო და ამ რელიგიის მიმდევართათვის ნათლობა ტარდებოდა არა ეკლესიაში, მღვდლის თანამშრებით, არაქედ ღია ცის ქვეშ, წყალში შთაფვლის გზით.

იეჭვეს რა (როგორც ამას სხვა შემთხვევა (პხადყოფდა), რომ მსგავსი კონგრეგაცია შეიძლება გარყვნილთა საქმო ყოფილიყო, კუსიკანე აპესტეგიმ და ტიტო პარინაკოჩამ გაყოლა იმ ადგილამდე მოითხოვეს, სადაც ბრალდებული იმყოფებოდა. კარგა ხნის ყომანისა და თათბირის შემდეგ „ინტის“ მფლობელი თავად გაუძლვა პილიციელებს ადგილამდე, სადაც, მისი ოქმით, შეიძლებოდა, ტელიო ყოფილიყო, რადგან, ერთხელ, დიდი ხნის წინ, როდესაც ტელიო მისი და სახელოსნოში დასაქმებულების თავის კონფესიაზე მოქცევას ცდილობდა, სწორედ იქ დააპატიუშებინა უფროსი ერთ ცერემონიაზე დასასწრებად (რასაც დიდი ვერაფერი შთაბეჭდილება მოიხდონა ზემოხსენებულ პირზე).

სწორედ იმ მომენტში შეაცყრეს პოლიციელებმა გუმერსინდონ ტელიო. მექანიკოსს მცირედი ნინააღმდევობაც კი არ გაუწევია, არც გაქცევა უცდია, არც გაოცება გამოუხატავს დაკავების გამო, ხელბორკილების დადებისას მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ იქ მყოფებს მიმართა: „არასოდეს დაგირიწყებთ, ძმქბო. „მონწმეები მაშინვე ახალ საგაღლობლებს შეუდგნენ, თვალები ზეცას აღადყრეს და ამ მდგომარებაში მიუჟახლოვდნენ ბატონი პრინციპეს მანქანას, რომელმაც წესრიგის დამცველები და დაკავებული მიიყვანა ლავიტორიას კომისარიატამდე, სადაც განეული სამსახურისთვის, მას მაღლიერად დაემშვიდობნენ.

ლიტერატურული განვითარების მუნიციპალიტეტი

კომისარიატში კაპიტანმა გ.კ ენრიკე სოტომ ბრალდებულს ჰქითხა, ხომ არ სურდა ფეხსაცმლისა და შარვლის ეზოში გაშრობა, რაზეც გუმერსინდორ ტელიომ უპასუხა, რომ ბოლო ხანებში ლიმაში ჭეშმარიტ რელიგიაზე მოქცევის გახშირებული შემთხვევების წყალობით, შეჩერებული იყო სევლი ტანსაცმლით სიარულს. კაპიტანი სოტომ დაუყოვნებლივ შეუდგა მის დაკითხვას, რაშიც ბრალდებული თანამშრომლობის სურვილს ავლენდა. ვინაობასთან დაკაშირებით განაცხადა, რომ გუმერსინდორ ტელიორ ერქვა და მოკეეგუაში მცხოვრები ან გარდაცვლილ ქალბატონ გუმერსინდა ტელიოს ვაჟი გახლდათ, მამა უცნობი იყო და, სავარაუდოდ, თავადაც მოკეეგუაში დაიპარა რცდასუთი თუ ოცდარვე წლის წინ. ასაკთან დაკავშირებულ ეჭვებზე განმარტა, რომ დაბადებისთანვე დედამისმა კათოლიკურ სექტის დაარსებულ ქალაქის ობოლ ვაჟთა თავშესაფარში მიაბარა, სადაც ცრუ სწავლებებით აღიზარდა, რასაც, საპედნიეროდ, თავი დაალწია თხუთმეტით თუ თვრამეტი წლის ასაჟში. აღნიშნა, რომ სწორედ ამ ასაკამდე ცხოვრობდა ობოლთა თავშესაფარში, რომელიც ერთ დღეს უზარმაზარმა ხანძარმა სრულად გაანადგურა. სრულად დაინვარა რა თავშესაფრის მთელი არქივი, მისი ზუსტი ასაკი გამოცანად დარჩა. განმარტა, რომ ეს უბედურება მის ცხოვრებაში შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან სწორედ მისი წყალობით გაიცხო ბრძენი წყვილი, რომელიც ჩილედან ლიმამდე ფეხით მოგზაურობდა და ფილოსოფიური ჭეშმარიტებს გაზიარებით ბრძებს თვალს უხელდა, ხოლო ყრუთ სმენას უბრუნებდა. დაკარიცხულებული, რომ ლიმაში იმ ბრძენ წყვილთან ერთად ჩამოვიდა, რომელთა სახელის გამხელაც ბოლოშის მოხდით, არ ისურვა, რადგან განაცხადა, იმის ცოდნაც კი ემაროდა, რომ ისინი არსებობდნენ და დამატებითი იარლიის მინებება საჭირო აღარ იყო, რომ მას შემდეგ აქ ცხოვრობდა და დროს მექანიკოსბასა (ხელობა, რომელიც ობოლთა თავშესაფარში შეესწავლა) და ჭეშმარიტი ცოდნის გავრცელებას შორის ანაწლებდა. თქვა, რომ სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ბრენიაში, ვიტარტეში, ბარიოს ალტოსში, ხოლო ლავიტორიაში რვა თვას უკან დაფუნქციულიყო, რადგან სამუშაო ძრავის შეკეთებისა და ავტოგენური შედეულების სახელოსნო „ინტიში“ ეშოვა, რომელიც წინა საცხოვრებელი ადგილისგან მეტისმეტად შორს მდებარებდა.

ଶ୍ରାନ୍ତଦେଖିବୁଲମ୍ବା ଅଣୀରାରା, ରନ୍ଧ ମାସ ଶେମଦ୍-
ଗ୍ର ମଦ୍ଦଗମ୍ଭୀରିଳା ସତ୍ତାକୁସିଟ କ୍ଷେତ୍ରରେବ୍ଦା ଲ୍ୟୁ-
ବ୍ରା ତିଳିଶାରମ୍ବା ଗାମଥିରୀଳା 12 ବୋମ୍ବେଶୀ ମଦ୍ଦବାର୍ଜ
ଶାବଳମ୍ବା. ଅମାସତାନ୍, ଗାମତ୍ରପ୍ରଯାଦା, ରନ୍ଧ ଉଚିନ୍ଦ-
ବ୍ଦା ଯାନ୍କୁ ସାଲାହାରିଗୋବିଲା ଓଜାକ୍ଷେବ୍ରା, ରନ୍ଧେଲ୍-
ତାନ୍ତାପ୍, ଡେଵରକ୍ଷେତ୍ର କ୍ଷେତ୍ରନିଃ ସାବାନମାନାତଲ୍ଲେବ୍-
ଲ୍ଲା ସାହୁଦର୍ବେଦି ଏବଂ କିନ୍ତୁବେଳୀ ଶେବାନ୍ଦେଶ୍ବରୀ, ତୁମ୍ଭ-
ପ୍ରା, ନ୍ଦାର୍ଜୁମାତ୍ରେବ୍ଦଲାଦ, ବିନାଯିଦାନ ବିନିନ୍, ଶାବ-
ଲ୍ଲାଲିଲା ଶେବା ଦିନବାରାତା ମେଶାହେବ୍ରା, ମରନ୍ଦାମଲ୍ଲୁ-
ଲ୍ଲିପ୍ରକ୍ଷେନ୍ ରନ୍ଧମାନ୍ଦୁଲ୍ଲା ମନ୍ଦବାଲ୍ଲେବ୍ଦଲ୍ଲୁରା ସନ୍ତାପ-
ଲ୍ଲେବେଦିତ. ସାବାରାଜୁଦର ମିଶ୍ରବେଳିଲା ଶାବ୍ରେ-
ଲ୍ଲାଲିଲା ଶେବାନ୍ଦେଶ୍ବରୀ ତେଜାବ୍ରା, ରନ୍ଧ ମିଶ୍ର ଆଶ୍ରମପଦା ଏବଂ
ମିବାନିଶନ୍, ରନ୍ଧ ମିଶ୍ର ବିନିନ୍ ଶାବାକ୍ଷି ଗାମନ
କ୍ଷେତ୍ର କିନ୍ତୁ ଏବଂ କାରାଗାଵ୍ରଦା ମିଶ୍ରଦା, ରନ୍ଧେଲ୍ମେ
ଶନିନ ଗ୍ରାନ୍ଥି ଏବଂ ପ୍ରୟୁକ୍ଷେବ୍ଦା. ରନ୍ଧଦେଶ୍ବାପ୍ରତିକାରୀ
ଦେଖିବୁଲମ୍ବା ସାତ୍ତ୍ଵଦେଖିବୁଲା ଗାବାନ୍ଦେଶ୍ବରୀ, ଗୁମ୍ଭେରସିନ୍-
ଦର ତ୍ରେଲିନିମ ଗୁଲିନିରତ୍ତେଲାଦ ଗାବିନ୍ଦୁପ୍ରା, ଶାବ-
ଲ୍ଲା ଯାରାପ୍ରା ଏବଂ ରାମଦେଶ୍ବନିମ୍ବ ନୁହିଲା ଶେମଦ୍ଦେଶ୍ବ
(ନୀର୍ବିଦ୍ଵାରା ପାତାକ୍ଷେତ୍ରରେ ପାତାକ୍ଷେତ୍ରରେ ପାତାକ୍ଷେତ୍ରରେ ପାତାକ୍ଷେତ୍ରରେ

შემდეგ ოთახში გამოცხადდნენ არასრულწლოვნის მშობლები, წყვილი, რომლის ხანდაზმულობამ მოსამართლე გააოცა: როგორ შეძლო ამ დაჩაჩანაკებული ბებრუხანების წყვილმა ბავშვის ჩასახვა სულ რაღაც ცამეტი წლის წინ? უკბილო, თვალებდანირპლუმა მამამ, დონ ისაიას უანეამ, სწრაფად დაადასტურა პოლიციის ოქმში მასთან დაკავშირებული მონაცემთი და სასწრაფოდ დაინტერესდა, დაქორწინდებოდა თუ არა სარიტა ბატონ ტელიოზე. ამ კითხვის დასმისთანავე გამხდარამა და დანაოჭებულმა ქალბატონმა სალავერია დე უანეამ მოსამართლისკენ გაინია, ხელზე აკოცა და მავედრებელი ხმით სთხოვა, გულმოწყალე ყოფილიყო და ბატონი ტელიო დაევალდებულებინა, სარიტა საკურთხეველთან მიეყვანა. დონ ბარედა ი სალდივარს გაუჭირდა მოხუცებისთვის აეხსნა, რომ იმ უზენაეს ფუნქციებს შორის, რომელიც მისთვის დაეკისრებინათ, დაქორწინება არ მოიაზრებოდა. როგორც ჩანდა, წყვილი ბავშვის გათხოვებით უფრო იყო დაინტერესებული, ვიდრე ძალადობის დასჯით, რასაც თითქმის არ ახსენებდნენ და თუ უნევდათ, საკმაოდ დიდ დროს კარგავდნენ სარიტას ღირსებებზე საუბარში, თითქოს გოგონა იყიდებოდა.

ଦେବା କାର ତାନ୍ତମଦ୍ରେବା, ମୂଳଦଲ୍ପେବିଦୀ ଗାମନ୍ତ୍ବୀ-
ଥିଲେବା ଶ୍ଵାଦା: ରନ୍ଧାରନ ଶ୍ଵେଦିଲ୍ଲେବନ୍ଦା, କାଣ-
ନ୍ଦିଲ୍ଲିଲୀଲିସ କ୍ରମାଦ ଶ୍ଵେତର୍ବାତ କାତ୍ରି, ରନ୍ଧାରେ-
ନ୍ଦା ଯୁଦ୍ଧିନ୍ଦା ଦାଵଶ୍ଵିସ ଶ୍ଵେତପ୍ରବନ୍ଦ ଶ୍ଵେତଲ୍ଲ? ମା-
ଗରାମ ମନ୍ଦସ୍ତୁତେବି ଏରିତମାନ୍ତ୍ରେତୀ ଲାପାରାକୁ ଅର
ଅତ୍ୟନ୍ତରେ, ଡାଇଜୁନ୍ଦାତ, ରନ୍ଧମ ସାରିତ୍ରା ସାନ୍ଦି-
ମୁଖ୍ୟମ ପ୍ରାଣୀର ନେବେଦନ୍ଦା, ରନ୍ଧମ ଆସୁଣ ମତ୍ରିର୍ବେ
ଅଶାକ୍ଷି ଉଚ୍ଚତ୍ଵ ପ୍ରାଣଦା କ୍ଷେତ୍ରକୁ, କ୍ଷେତ୍ରକୁ ଓ ପ୍ରା-
ତ୍ରମିଲ୍ଲଗ୍ରାମ କ୍ଷେତ୍ରକୁ କ୍ଷେତ୍ରକୁ କ୍ଷେତ୍ରକୁ, ରନ୍ଧମ ତାପାଦ ଶ୍ଵେତ
ଦାବେରେବୁଲ୍ଲିପ୍ରବନ୍ଦରେ ଅର ଶ୍ଵେତର୍ବାତ, ସାରିତ୍ରା
ନ୍ଦଲ୍ଲନ୍ଦାଶି ଗାଥର୍ଦିଲ୍ଲିପ୍ରବୁନ୍ଦ, ରନ୍ଧମ ଦାତ୍ରନ୍ଦିନୀ
ତ୍ରେଣିଲୀ ଶ୍ଵେତର୍ବାତ ଶ୍ଵେତର୍ବାତ, ମନ୍ଦର୍ମହେଲୀ କାତ୍ରି ହାନ-
ଦା ଅର, ମାରତାଲୀରୀ, ହନ୍ଦା ଲାମିଶେ ସାରିତ୍ରାତାନ
ଶ୍ଵେତର୍ବାତ, ମାଗରାମ ମତ୍ରବରାଲୀ ଅରାବୁଶି ଜୁନାବ୍-
ଶକ୍ଷି; ମେତ୍ରାଦ ଦାତ୍ରିବୁଶାତ୍ରେମି କାତ୍ରି ପ୍ରବୁନ୍ଦ, ଶାବଲ୍-
ନ୍ଦିନା ଶ୍ଵେତର୍ବାତ ଗାଥିନ୍ଦା ଅର ତାନ ନିନ୍ଦକ୍ରମ୍ଭ-
ମେନ୍ତର୍ବେଦିଶ ହାନତାଶା ଅର ଗାଥେତେବିଶ ଶ୍ଵେତର୍ବାଶ
ଦାତ୍ରିବର୍କ୍ରେଦା, ରନ୍ଧମେଲ୍ଲିଶାତ୍ର କାରଫାଦାକାର ପ୍ରାଦ-
ିନା. ଗାନ୍ଦା ଦିନ୍ତି, ରନ୍ଧମେଲ୍ଲିଶାତ୍ର ଆସେ ନ୍ତାଙ୍ଗନ୍ଦଦା
ଅମ କ୍ଷେତ୍ରବର୍କ୍ରେଦାଶି, କ୍ଷେତ୍ରଶାପ୍ରକ୍ରିଯା ଗାରାନ୍ତକି ଅର
ପ୍ରବୁନ୍ଦ ସାରିତ୍ରାତ୍ତବୀରୀ? ଅରିବେ ମନ୍ଦସ୍ତୁତେ ମନ୍ଦା-
ମାରତଲୀଶକ୍ଷି ନେବେର୍ଦା କ୍ଷେତ୍ରଃ: “ଶ୍ଵେତପିନ୍ଧାଲ୍-
ଗେତ ଅର ଦାଗପ୍ରେକ୍ଷାର୍ଥୀତ, ଦାତ୍ରନ୍ଦିନ ମନ୍ଦାମାରତ-
ଲ୍ଲେ”
ତିତକ୍ଷେ ମନ୍ଦିକ୍ଷେତ୍ରାମ, ଶ୍ଵେତର୍ବାଶ ଦାଗକ୍ରି-
ତ୍ର ଦାନ୍ଦ ଦାର୍ଶନ୍ଦା ଅ ଶାଲଦିଵାରକୁ ଗନ୍ଧେବାଶି
ଏବଂମି କ୍ଷେତ୍ରକ୍ଷାମି ଏବଂମାନୁଷେଦିବାଶି ଏବଂମାନୁଷେଦିବାଶି

ერთხა პირობენად გაუელვა: იქნებ ყველა-
ფერი ამ წყვილის დადგმული ხრიკი იყო,
რათა მათი ნაშერი გათხოვილიყო? მაგ-
რამ სამედიცინო დასკვნა შეუვალი გახლ-
დათ: ბავშვი გააუპატიურეს. მონებები ძლ-
ივყდიონბით დაითხოვა, რის შემდეგაც,
ოთაბეჭი მსხვერპლი შემოვიდა.

სარიტა უანკა სალავერიას ოთახში გამოჩენამ პირველი ინსტანციის მოსამართლის პირქუში კაბინეტი გაანათა. ღოქტორმა დონ ბარედა ი სალდივარმა — კაცმა, რომელსაც ყველაფერი ნანახი ჰქონდა, რადგან მის თვალინი ჩაევლო როგორც მოძალადის, ასევე მსხვერპლის რანგში ნაირგვარი უცნაურობისა და ფსიქიკის ადამიანს, საკუთარ თავს უთხრა, რომ ეჭვგარეშეა, მის წინაშე ფრიად გამორჩეული ნიმუში იდგა. იყო სარიტა უანკა სალავერია ბავშვი? რა თქმა უნდა, ამას მოწმობდა მისი ასაკი, პატარა ტანი, რომელზე არსებული პატარა წანაზარდებიც მორცხვად მიანიშნებდა ქალურობაზე, ასევე ნაწნავებად დაფუნილი თმა, სასკოლო ქვედაკაბა და პერაზგი, რომელსაც ატარებდა. მაგრამ სანაცვლოდ, კატასავით მოქნილი მოძრაობა, გაჩაჩისული დეომა, გაბზევილი თეძოები, ანურული მხრები და გამომწვევე წელზე შემორტყმული პატარა ხელები, განსაკუთრებით, მისი მზერა — ეს უღმერთო, სავერდოვანი თვალები და ქვედა ტუჩის კბენა თავგისებრ პატარა კბილებით, გაფიქრებინებდა, რომ სარიტა უანკა სალავერია ფრიად გამოცდილი, საუკუნოვანი სიპრინის მოლობალი უნია ყოვლისაც

დოქტორ დონ ბარეძა ი სალიკვარს
არასრულწლოვნების დაკითხვის შესაძუ-
რი ტაქტი ჰქონდა. იცოდა, როგორ გამოე-
წვია ხდობა, ესაუბრა გადაკვრით, რათა
სხვისი გრძნობები არ შეელახა და ყველაზე
ჩახლართული ამბის გამორკვევასაც კი
იოლად ახერხებდა სიფაქიზისა და მოთ-
მინების წყალობით. მაგრამ ამჯერად თავი-
სი გამოცდილება არას რგებდა. როგორც
კი მცირებლოვანს შეფარვით ჰქითხა, ნამ-
დვილად დიდი ხანია, რაც გუმერსინდო
ტელიო უსამსი ფრაზებით გავინწროვებსო,
სარითა უან ა იწარ ა აი კრითა.



ହାତାଶାର୍କୁଳି

დაადასტურა, რომ მართლაც ასე იყო, ყველგან და ყოველთვის, მას შემდეგ, რაც ბრალდებული ლა ვიქტორიაში დასახლდა თქვა, რომ ომნიბუსის გაჩერებაზე უცდიდა და და სახლამდე მიყებოდა შემდეგი სიტყვებით: „ვისურვებდი შენგან თაფლი გამომეწოვა“, „შენ ორი პატარა ფორთოხალი გაქვს, მე კი ერთი ბანანი“, „შენთვის სიყვარულად დავიღვრები“. თუმცა მოსამართლის გახურებული ლოყებისა და დოქტორი სელაიას შეჩერებული ბეჭდვის მიზეზი გახდა არა ეს ალევორიები, რომელიც ბავშვის ბაგებს საერთოდ არ შეეფერებოდა, არამედ ქმედებები, რითაც სარიტა აღწერდა დევნას, რისი ობიექტიც თავად იყო. ჰყებოდა, რომ მექანიკოსი ცდილობდა „აქ“ შეხებოდა: ამ სიტყვებზე პატარა, გაშლილი ხელები ნაზ მეტრდთან მიიტანა და ვნებიანად დაუწყო სრესა. და რომელ „იქაც“ შეეხო: პატარა ხელები მუხლებთან მიიტანა და მოფერება დაუწყო, ხელებს მაღლა სწევდა, კაპას ჭმუჭნიდა და თეძოებისკენ (რომელიც სულ ახლახან უმნივარიო იყო) მიიწევდა. დოქტორმა დონ ბარედა ისალდივარმა, რომელიც თვალებს ახამხა-ამებდა, ახველებდა და მდივანთან სწრაფებზერას ცვლიდა, გოგონას მამაშვილურად აუხსნა, რომ ასე დაკონკრეტება საჭირო არ იყო და შეეძლო, ზოგადი ფრაზებით დაკამაყოფილებულიყო. „აქაც მბრკენდა!“ — სარიტამ მოსამართლეს ლაპარაკი შეაწყვეტინა, გვერდი სანახევრობ შეაჯია და მიუშვირა გავა, რომელმაც მოულოდნელად, თითქოს საპნის ბუშტიაო, ზრდა დაიწყო. მოსამართლეს თავპრუდამხვევი წინათგრძნობა დაეუფლა, რომ ნუთინუ-თხე მისი კაბინეტი სტრიპტიზის არენად იქცეოდა.

მოსამართლეები მდევლვარების მოსათო-
კად ძალები მოკრიბა და მშვიდად მიუთი-
თა არასრულწლოვანს, ენამჭევრობა დაე-
ვიწყებინა და აქცენტი თავად გაუპატი-
ურების ფაქტზე გაეკეთებინა. განუმარტა,
რომ, მართალია, მომხდარი ობიექტურად
უნდა მოყყოლა, მაგრამ დეტალებზე შეყ-
ოვნება აუცილებელი არ იყო და გაათა-
ვისუფლა იმ წვრილმანების მოყოლის ვა-
ლდებულებისაგან, რაც მის უმანკოებას
შებლალავდა (აქ დოქტორმა დონ ბარედა
ი სალლივარმა შეცტუნებისგან ჩაახველა).
ერთი მხრივ, მოსამართლეს სურდა, დაკ-
ითხვა მაღლე დაესრულებინა, ხოლო მეორე
მხრივ, იგი უფრო ლირსეული გაეხადა, რა
დგან, მისი ვარაუდით, ეროტიკულ ხასი-
ათის აგრძესიაზე საუბრისას გოგონა, ლო-
გიკურად, აღელდებოდა, დაიბნეოდა და
ლაკონური, ფრთხილი და ზედაპირული
იქნებოდა.

მაგრამ როგორც კი მოსამართლის მი-
თითებას მოჰკვრა ყური, სარიტა უანგა სა-
ლავერია სისხლზე დაგეშილი მოჩეუბარი
ქათამივით გახელდა, აიჯაგრა, აგნორც
მონოლოგად იქცა და თავისი მიმიკურ-გნ-
ებიანი წარმოდგენით დოქტორ დონ ბარე-
და ი სალდივარს სუნთქვა შეუკრა, ხოლო
დოქტორი სელაია ფრიად შეუფერებულ
ცემუტვას მოჰყავა (იქნებ მასტურბირებ-
და?). ჰყვებოდა, როგორ დააკაკუნა მექან-
იკოსმა კარზე, როგორ გაემართა კარის
გასაღებად, როგორ შეჰყურებდა და ელა-
პარაკებოდა მოძალადე, როგორ დაუჩიო-
ქა, როგორ იცემდა გულზე მჯილს და რო-
გორ ეფიცებოდა სიყვარულს. შეცდუნებ-
ული და გაშეშებული მოსამართლე და მდი-
ვანი ხედავდნენ დაქალებულ ბავშვს, რო-
მელიც ფრინველივით ფართხალებდა, მო-
ცეკვავესავით დებოდა ფეხის წვერებზე
იხრებოდა და იმართებოდა, ილიმოდა და
ბრაზობდა, ხმას იცვლიდა და ხან საკუთარ
თავს ახმოვანებდა, ხან გუმერსინდო ტე-
ლიოს. ბოლოს მუხლებზე დაეცა და საკუ-
თარ თავს (ბრალდებულის სახელით) სიყ-
ვარულში გამოუტყდა. დოქტორმა დონ
ბარედა ი სალდივარმა ხელი გაუწოდა, ამ-
ოლულლულა, რომ საკარისი იყო, თუმ-
ცა ენანცულიანი მსხვერპლი აგრძელებდა
ახსნას, როგორ დაემუქრა მექანიკოსი და-
ნით, როგორ მოისროლა ძირს, როგორ წა-
ათრია, როგორ მოექცა ზემოდან, როგორ
აუწია კაბა და... ამ დროს გაფითორებული,
ზრდილი, მედიდური და ბიბლიური წი-
ნასნარმეტყველივით განრისხებული მო-
სამართლე ადგილიდნ წამოიჭრა და და-
სჭექა: „გეყოფა! გეყოფა! საკმარისა!“. ეს
იყო პირველი შემთხვევა მის ცხოვრებაში,
როცა ხმას აუწია.

იატაკზე გარობშული სარიტა უანკა სა-
ლავერია, რომელიც გრაფიკული ახსნა-
განმარტებისას, ეს ესაა, ნევრალგიურ კრ-
უნჩხვაში უნდა ჩავარდნილიყო, შეშინებ-
ული შეჰქურებდა მოსამართლის საჩვე-
ნებელ თითს, რომელსაც თითქოს მისი შე-
მუსკრა სურდა.

— აღარაფრის ცოდნა აღარ მსურს, —
უფრო მშვიდად გაიმეორა მოსამართლემ,
— წამოდექ, ქვედაკაბა გაისხორე და შენს
მშობლებთან დაბრუნდი.

მსხვერპლი წამიდგა და თავი დაუქნია,
სახეზე დრამატიზმი და უხამსობა წაძლო-
და, კვლავ ბავშვად იქცა, რომელიც აშკარ-
ად გულნატეკნის ჰგავდა. საცოდავად დაემ-
შვიდობა, კარისკან დაიხია და ოთახიდან
გავიდა. მაშინ მოსამართლე მდივანს მიუ-
ბრუნდა და მოზომილი ტრინითი, ირონიის
გარეშე, ურჩია, ბეჭდვა შეეწყვიტა. ნუოუ
ვერ ხედავდა, რომ ქალალი უკვე იატაკზე
ეგდო, თავად კი ცარიელ ცილინდრზე წე-
რდა? აჭარბლებულმა დოქტორმა სელა
იამ წაილულლულა, რომ მომხდარით შეც-
ბუნებული იყო. დოქტორმა დონ ბარედა ი-
სალდივარმა გაულიმა:

— უჩვეულო სანახაობის მოწმენი გავხდით, — ფილოსოფიურად თქვა მოსამარ-

იყო ცხვარივით თვინიერი მზერა კაცისა რომელმაც ყველაფერი იცის, არაფერს ეჭვობს და ყველა პრობლემა გადაჭრილი აქვს. ბიჭს ოცდათი ჯერ არ შესრულებოდა ცარიელი ძვალი და ტყავი იყო, რაც მოწმობდა, რომ საკვებს და მისთანას დიდად არ სწყალობდა. თბა უხეშად გადაეპარსა შავგვრემანი იყო და საშუალოზე უფრო მეტად დაბალი ეთქმოდა. ნისლისფერ-ნაცრისფერ ფერგბში ეცვა, არც დენდის ჰელვდა, არც მანანნალას, უფრო რაღაც საშუალოს ამ ორს მორის. კოსტიუმი უკვე გამშრალიყო, თუმცა წყალში ხშირი შთაფვლის გამო ქსოვილი დანაოჭებულიყო. თეთრი პერანგი ეცვა ლითონის ელემენტებიანი ლილებით. მოსამართლე — კაცი, რომელსაც ანთროპოლოგიური ყნოსვა ჰქონდა ერთი შეხედვითაც მიხვდა, რომ მისი მთავარი მახასიათებლები მორიცებულობა ზომიერება, იდეისადმი ერთგულება, უშვითოველობა და სულიერი მზადყოფნა იყო როგორც კი ზღურბლს გადააბიჯა, ბრალდებულმა მოსამართლესა და მდივანს თავაზიანად უსურვა მშვიდობიანი დილა.

მა მცველებს უბრძანა, ხელმორკილები აე-
სხათ მისთვის და ოთახიდან გასულიყვ-

შეიცვლება, თუნდაც ამის მიზეზი მქონდეს.
პატიაძით ლაპარაკობთა თოლქლის სა-

მოკეგული ბიჭის სახეზე აბსტრაქტულმა ღიმილმა გაიელვა.

— მოხევ ისაა, ვინც აძოხდების, ადასტურებს ან მოწმედ დგება, — სემანტიკური თავისი ცოდნა გამოიამჟღავნა ბრალდებულმა, თან მოსამართლეს თვალებში მტკიცებ შესცეკროდა, — ისაა, ვინც იცის რა, რომ უფალი არსებობს, ამას სხვასაც აუზიყებს, ის, ვინც იცის სიმართლე და სხვასაც უზიარებს. მე მოწმე ვარ და ოქვენ ორიც შეძლებდით ამას, ცოტაოდენ ნებას თუ გამოიჩინდით.

— მადლობა, სხვა დოროს იყოს, — შეაწყი

ვეტინა მოსამართლებ, სქელტანიან საქა-
ლალდეს ხელი დაავლო და მის თვალწინ

10. The following table shows the number of hours worked by 1000 workers in a certain industry.



მარიონ ვარგას ლიონსა

თლემ, — ამ ბავშვებს სისხლში დემონი ჰყავს
და რაც ყველაზე უარესია, სავარაუდოდ,
ეს არც კი იცის.

— დოქტორო, ამათ ეძახიან ჩრდილოამერიკელები „ლოლიტას“? — ცოდნის გალრმავიბას შეიკადა მდივანი.

— ရာ တွေမာ ဗုံးနှစ်၊ ဖြိုပ်ကျော် လုပ်လိုစာ၊
— ბრძან မြေးသာ မြေးသာ ရတယ်မူ နဲ့ ရက်ကြော ကျော် အား ရှိနေ ပါ။

შეჰყურებს, შეუპოვარი მეზღვაურივით, რომელიც ციკლონის დროსაც კი იპტიმი-სტურ გაკვეთილს იღებს, დასძინა, — ყოველ შემთხვევაში, გვიხსაროდეს, რომ ამ სფეროში მაინც, ჩრდილოელ გიგანტს ექვე-ლუზივი არ გააჩინა. ეს ა პორიგენი ნები-სმიერ გრინგო ლოლიტას აწაპინდა მამრსა.

— ცხადია, იმ მექანიკოსს თავად დაკარგვინა მოთმინება და იმდენი ქნა, იმანგა აუპატიურა, — დაასკვნა მდივანმა, მაგის ნახვისა და მოსმენის შემდეგ ნებისმიერი დაიფიცებდა, რომ სწორედ გოგომ დაკარგვინა უმანკოება.

— განდ გაჩერდით, გიკრძალავთ მსგ-
ავსი ვარაუდების გამოთქმას, — უსაყვე-
დურა მოსამართლემ მდივანს, რომელიც
ამ სიტყვებზე გაფითრდა, — არანაირი სა-
ეჭვო ვარაუდები. გუმერსინდო ტელიო გა-
მოცხადდეს.

ათი წუთის შემდეგ, როდესაც ორი მც-
ველით გარშემორტყმული ბრალდებული
კაბინეტში შევიდა, დოქტორი დონ ბარე-
და ი სალლივარი მაშინვე მიხვდა, მდივნის
კლასიფიკაცია გაზვიადებული იყო. ბრა-
ლდებული ეკუთვნოდა არა ლომბბროზიულ-
ტიპაჟს, არამედ, გარკვეულწილად, ბევრ-
ად უარესს: მორნმუნეთა რიგა. გუმრისი-
დო ტელიოს სახის დანახვაზე მოსამართ-
ლეს ჟრუანტელმა დაუარა და თმები ყალყ-
ზე დაუდგა: მოაგონდა ველოსიპედიანი კა-
ცის უცვლელი მზერა და გაზეთ „გამოილ-
ვიძესთან“ დაკვშირებული კოშმარი. ეს

ნენ. ეს ჩვევა იურისტის კარიერის დასაწყისიდანვე მოსდგამადა: ყველაზე გახსრენნ-ილ კრიმინალებშაც კი მარტო ჰქონდა თანამონაზილეთა გარეშე, მაგრავილურად ისინიც ამ tête-à-tête შეხვედრების დროს გულს ისე უშლილენ მას, თითქოს აოსარე-

ბასა აბარებენო. მოსამართლეს არასოდეს უნაინა ამ სარისკე პრაქტიკის გამო. გუმ-ერსინდო ცელიობ ხელები მოისრისა და ნდობისთვის მაღლობა გადაუხადა. მოსამართლემ სკამზე მიანიშნა, მექანიკოსი კი დეზე ჩამოჯდა წელში გამართული, როგორც კაცი, რომელსაც თავად კომფორტის ცნებაც კი უხერხულობას უქმნის. მოსამართლემ გონებაში წარმოიდგინა ცხოვრების წესი, რომელსაც იეპოვას მოწმე ეჭვგარეშეა, მისდევდა: საწოლიდან დგებოდა გამოყუინებელი, მაგიდიდან მშიერი კინოთეატრს კი ფინალამდე ტოვებდა (თუკი საერთოდ დადიოდა). სცადა, წარმოედგინა, როგორ ახელებდა და აალებდა ლა ვიქტორიელი პატარა ვამპირი თუმცა წარმოსახვით ოპერაციებს მაშინვე შეეშვა, რადგან მიიჩნია, რომ ეს ბრალდებულის უფლებებს ლახავდა. გუმერსინდო ჭილიო ალაპარა ითა:

— მართალია, რომ მთავრობების, პარტიის, არმიისა და სხვა თვალსაჩინო ინსტიტუტების სამსახურში არ ვდგებით რადგან ყველანი სატანის შევილობილება არამას; რომ არც ფერად ჩვრებზე ვდებთ ფიცს, არც უნიფრომას ვატარებთ, რადგან ბრჭყვალა სამხრებითა და ზიზილ-ჰიპილოგით არ ვცდუნდებით; არც გაკვეთას ან სისხლის გადასსმას ვთანხმდებით რადგან უფლის შექმნილს მეცნიერება ვერ წაახდეს; მაგრამ არ წესთაგან არცერთ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ვალდებულებებს არ ვასრულებთ. ბატონო მოსამართლევ, თქვენს განკარგულებაში ვარ დაიცოდეთ, რომ ოქვენდამი პატივისცემა არ

ისე დაიდო, თთქოს ნუგბარი ყოფილიყო,
— დრო არ იცდის და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. საქმეზე გადავიდეთ. დასაწყისისთვის ერთი რჩევა: რაც თქვენ ახლა გაიღიდებათ და გარებოთ, მხოლოდ სიმართლეა, წმინდა წყლის სიმართლე.

ରାଜାଙ୍କ ଫିଲ୍ମାଲୀ ମର୍ମଗଣ୍ଡେଶ୍ଵର ଶେଷରୁଲ୍-
ମା ପରାଲ୍ପଦ୍ଧବୁଲମ୍ବା ଧରମାଙ୍କ ହାଇସୁନ୍ଟକ୍ଷେତ୍ରକୁ।
— ସିମାରାତିଲ୍ଲେ, ସିମାରାତିଲ୍ଲେ, — ବୁଦ୍ଧଳୀବା-
ନ୍ଦ ବୀରିଶୁରିଶୁଲ୍ଲା, — ରମେଲୀ ସିମାରାତିଲ୍ଲେ,
ଦ୍ୱାତ୍ରଗଣ୍ମ ମିଳାମାରାତିଲ୍ଲେ? ଠିକ୍ ବାତିକାନ୍ତିର ଚାଲୁ-
ଲୋଲିଶର୍ବାଦୀଶ, ଯୁକ୍ତାନ୍ତନ୍ଦବାଦୀଶ ଏବଂ ବ୍ରାହ୍ମପଥୀ
ବେମି ଅର ସାଖୁପରାନ୍ଦତ, ରମେଲୁସାଙ୍କ ଶୁଭରାଲୁ
ଶାଲ୍ବବିଶ ଗୁଣ୍ଡୁପର୍ଯ୍ୟାନ୍ତିଲୋବିତ ମିଳାରାଗେବଲ୍ଲୁର୍-
ଣି ସିମାରାତିଲ୍ଲେ ଏ ଆସାଲୁକେବନ୍? ମନ୍ଦରକାଲୁକେବା
ନୀତେ ପ୍ରମାଦ ଏବଂ, ବ୍ୟାପିକରଣକ, ସିମାରାତିଲ୍ଲେ ବୀତିକୁ
ତ୍ରୈଵେଣି ନ୍ୟେନା ଅର ମିଳନ୍ଦା, ମାଗରାମ ଗ୍ରେବିତଶ୍ବେଶ-
ମାନ — ତୁମର ଅବ୍ୟାପ ସିମାରାତିଲ୍ଲେ?

ის — იკეცებ რა უკიდო ცინითი მდებარეობა?
— ვცდილობ, შევიტყო, — ცტირად
უპასუხა მოსამართლემ და საქალალდეს
ხილი თავისუა.

ସେଣ୍ଡ ଦ୍ୱାରା ପ୍ରକାଶିତ ହୁଏଥିଲା ଅନ୍ୟାନ୍ୟ କବିତାର ମଧ୍ୟରେ ଏହାକିମାନ କବିତା ହୁଏଥିଲା ।

— სიმართლე დანაშაულზე, რომელიც ჩაიდინეთ, როცა არასრულწლოვან სარიტა უანგა სალავერიაზე იძალადეთ, — შეუტია მოსამართლე, — სიმართლე იმ თავდასხმაზე, რომელიც ცამეტი ნლის უმანკო ბავშვზე განახორციელეთ. სიმართლე იმ მუშტებზე, რომელიც მას უთავაზეთ, მუქარაზე, რითაც მას აშინებდით. გაუპატიურებაზე, რითაც იგი დამცირეთ და შესაძლოა თავორულობა კოდავ.

ძღლია, რა აოროსულებრ კიდედც. მოსამართლის ხმა მალლა ინგოდა, ხდებოდა შეუვალი და ოლიმპიური. გუმერს-ინდო ტელიონ სერიოზული სახით შეჰყურებდა, წელში ისე გამართულიყო, როგორც სკამი, რომელზეც იჯდა. არც დაბნეუ-

